

572
1950

ლიტა

„ავადი, ტუფი ქვეჩუ-
ელხე, ქარველი შარფი,
და პეჩე, ქარველი, სწავლია
სამოსლი კახსრუა.“

საქართველოს აღკვ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მკირეწლოვანათვის



საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

„ბერლინის დაცემა“

კინოში ვინ არ ყოფილა,
ბევრჯერ ვყოფილვართ ჩვენაც,
გვიგრძენია აღფრთოვანება,
ღებენა და გულის ტკეპაც.—
მაგრამ სხვა იყო სიამე
აღძრული მისი ხილვით:
ვნახეთ „ბერლინის დაცემა“—
დიდი მხატვრული ფილმი.

აი, ეკრანზე ბალია,
ბალში იღვიძებს დილა,
საყვარელ სტალინს ჩიტები
დასჭრკჭიკებენ ტკბილად.

ჰა, საუბარში სტალინი
საქვეყნო საქმეს არჩევს:
„მეტ ფოლადს გამოვადნობო“.—
გმირი პირობას აძლევს.
ჰა, სიყვარულით შესცქერის
ხალხთა სიციცხლის გუშაგს
ბუღადათან სტუმრად წვეული
სტახანოვედი მუშა.

ჰყვავის საბჭოთა ქვეყანა,
წინ მიდის გოლიათი.
იზრდება სოფლის დოვლათი
და ქარხნებს ბოლი ასდის;
მაგრამ ღრუბელი ომისა
დაჰფარავს მშობელ მინას
და ის ფოლადის მღწობელი
ჭაბუკი მამულს იცავს.

აი, პიტლერის ბრბოები
დგანან მოსკოვის კართან:
უსმენენ გმირი მარშლები
სტალინს—სარდალა სარდალს.
ვერ დააბიჯა კრემლის წინ
გადამთიელის ჩექმამ,
და გაიმარჯვა სტალინის
გენიალურმა გეგმამ.

ბერლინთან დგანან ტანკები,
ჰა, რაიხსტაგიც მოჩანს.
ფრიალებს დროშა სტალინის—
სიმათრლის დიდი დროშა.
რუსს მხარში უდგას ქართველი—
აღლებთ დროშის გაშლა.
აჰა, დაეცა ბერლინიც,
ისმის გმირების ვაშა.

დიდი მხატვრული ფილმა,
თანაც ფერადი ფილმი,
აღტაცებული ვერუნდებით
სახლებში მისი ხილვით.
გზაზე ვსაუბრობთ—ერთმანეთს
ალარც კი ვაცილით სიტყვას,
გამარჯვებული ბუღადი
სუყველას თვანწინ გვიდგას.

მერმან ლუბანოძე





იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი





აპოგ ზაიპონი

ნახატები გრ. ჩირინაშვილისა

სუვოროველის „ღანაშაული“

სუვოროველთა სასწავლებელში საზეიმო საღამო იყო.

სასწავლებელდამთავრებულ სუვოროველებს რაფიკრის ხაჩისიხი ენიჭებოდათ. გენერალს ელოდნენ.

კურსდამთავრებულთა ერთი ჯგუფი საზეიმოდ მორთულ დარბაზის კუთხეში შეგროვილიყო და მზიარულად საუბრობდა.

სუვოროველმა სამველ აღეკიანმა, როდესაც მისი ჯერი მოვიდა, ასე დაიწყო:

—მე, ჩემს სიკაცხლეში მხოლოდ ერთხელ დავარღვიე სამხედრო დისციპლინა, და აი, როგორ:

მშობლები არა მყავს. დედა ადრე გარდამეცვალა. სამამულო ომი რომ დაიწყო, მამა ფრონტზე წავიდა. მე და ჩემი და დაცრჩით ბიძასთან, რომელიც ჩვენზე ზრუნავდა.

ერთ დღეს ცნობა მივიღეთ, რომ მამაჩემი გმირულად დაიღუპა სამშობლოსათვის.

მამინ მე უკვე ათი წლის ვიყავი. მამის დაკარგვა დიდი მწუხარება იყო ჩემთვის.

ერთ დღეს ბიძაჩემი ქაჩხნიდან შინ დაბ-

რუნდა, თან გაზეთი მოიტანა და მომმართა:

— შენი ბედი უკვე გადაწყდა!

და მან წაიკითხა მთავრობის დადგენილება სუვოროველთა სასწავლებლების დაარსების შესახებ.

მე ძლიერ გაშეხარდა, რომ ნატერა ამისრულდებოდა და სამხედრო პირი გამოვიდოდი.

ბიძაჩემთან ერთად გავემგზავრე ჩრდილო კავკასიაში, სადაც უნდა გახსნილიყო სუვოროველთა ერთ-ერთი სასწავლებელი. სასწავლებელში მიმიღეს.

აქ დამყარებული წესრიგი ძლიერ მომეწონა. დავეჩვიე დილით ადრე აღგომას. შემეყვარდა ცურვა, დოლი, ფარიკაობა, მიზანში სროლა. ბევრს ვკითხულობდი, ვმღეროდი, ვუკრავდი. მინდოდა ყველაფერი გამეგო, ყველაფერი მცოდნოდა.

სუვოროვი, რომლის სახელიც ერქვა ჩვენს სასწავლებელს, ჩემთვის ყველაზე საყვარელი მხედართმთავარი გახდა. ვკითხულობდი და გულდასმით ვსწავლობდი მის ცხოვრებას. ვიზუირებდი მის ბრძნულ სიტყვებს.

ღრო შეუძნელებლად გარბოდა.

ერთ დღეს ბიძაჩემმა წერილი მოსწერა სასწავლებლის უფროსს, გენერალ-მაიორ სკოროცოვს და ჩვენს დამრიგებელს პოლკოვნიკ ალექსანდრე თევდორეს-ძეს, რათა ჩემთვის შევებულება მოეცათ. მეც ძალიან მომეწონებოდა ჩვენთან.

ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. როცა გამოცდების დამთავრების შემდეგ პოლკოვნიკმა გამომიძახა და მითხრა:

— სუფორაველო სამველ ალექიანი, შენ გეძლევა შევებულება. შეგიძლია გაემგზავრო. წადი და გახსოვდეს, რომ მოვალე ხარ მტკიცედ დაიცვა საშხედრო წესდება. იყავი სამაგალითო!

— მესმის, ამხანაგო გვარდიის პოლკოვნიკო!— ვუპასუხე მე.

— უნდა დაბრუნდე საგზურში აღნიშნულ ვიდაზე, დაუგვიანებლად!— ეს უკანასკნელი სიტყვა მან განსაკუთრებული მნიშვნელობით წარმოთქვა.

— არის, დავბრუნდე საგზურში ნაჩვენებ დროისათვის, დაუგვიანებლად!— გავიმეორე მე.

მეორე დღეს გავემგზავრე სამშობლოში... გავემგზავრე, მაგრამ პირობა ვერ შევიასრულე.

ბიძაჩემის ოჯახში შევებულება მზიარულად გავატარე. ყველა ჯანმრთელად დამხვდა. შევებულების დამთავრებისას ყველას გამოვემშვიდობე და გავუდექი გზას ჩრდილოეთ კავკასიისაკენ. მატარებელში ვავიციანი სტალინგრადის ერთერთი ქარხნის დირექტორი. ის კურორტიდან ბრუნდებოდა. მგზავრები მას გრიგორი საველის-ძეს ეძახდნენ.

ჩვენ მალე დავმეგობრდით. ვუამბე ჩემი ოჯახის ამბავი... სწორედ ამ კაცის შეხვედრამ დამავიწყებინა საშხედრო დისციპლინა და მას სტალინგრადში გავყევი. მართალი ვითხრათ, იგი მიჩიქებდა, რომ დისციპლინა არ დამეორღვია, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება მტკიცე და ურყევი იყო.

გრიგორი საველის-ძე და მგზავრები ჩემი საქციელის გამო წუხდნენ და გადაწყვიტეს, რომ ჩემი სასწავლებლის უფროსისათვის დეპეშა გაემგზავნათ, შეადგინეს დეპეშის ტექსტი:

„თქვენი აღზრდილი სამველ ალექიანი ჯანმრთელად არის. ის სტალინგრადიდან სასწავლებელში რამოდენიმე დღის დაგვიანებით დაბრუნდება.“

ქარხნის დირექტორი გრიგორი საველის-ძე.

დეპეშა გაემგზავნა. მე გავემგზავრე სტალინგრადში.

საქმე ის არის, რომ ეს კაცი ჩემთვის შემთხვევით თანამგზავრი როდი იყო, არამედ ყველაზე საყვარელი ადამიანი მთელ ქვეყანაზე...

მეგობრები ყურადღებით უსმენდნენ სამველს, ის კი თავდახრილი განაგრძობდა:

— ეს შემთხვევით გაცნობილი ადამიანი, მამაჩემის მეთაური იყო — კაპიტანი გლეხოვი, რომელმაც მამის დაღუპვის შესახებ გულთბილი და მგრძობიარე წერილი მოგვწერა...

ახლა გიამბობთ, რატომ წავედი სტალინგრადში. იმასაც გეტყვით, რად დავეჯერე. რომ გიორგი საველის-ძე ნამდვილად მამაჩემის მეთაური იყო.

— გვიამბე, ძლიერ საინტერესოა, გვიამბე!— ერთხმად სთხოვეს სამველს მეგობრებმა.

— გრიგორი საველის-ძემ უბის ბლოკნოტიდან ამოიღო ორი ფოტო-სურათი: ერთი თავისი დაღუპული შვილისა იყო, მეორე კი— ჩემი და ჩემი დისა.

„ეს სურათი მამაშენმა დოკუმენტებთან ერთად გადმომცა, როდესაც დავეჯერე შენს წაიდა და აღარ დაბრუნდაო“, მითხრა გრიგორი საველის-ძემ და თან დაუმატა: „მამაშენის წერილებიც მაქვს. სტალინგრადში დატოვებულაო“.

ამის შემდეგ როგორ შემეძლო მის გულწრფელობაში არ დავრწმუნებულიყავი? მან თქვა: სტალინგრადთან ახლოს, დიდი ტყის პირას საფლავი არის. იქაურ მოსახლეობას ამ საფლავისათვის „გმირი მხვერავის საფლავი“ უწოდებია. გრიგორი საველის-ძეს გამოურკვევია, რომ ეს საფლავი მამაჩემისა ყოფილა...

სამველ ალექიანი გაჩუმდა. ყველა დედად.

— წაველით ამ საფლავის სანახავად. ჩემთან ერთად წამოვიდნენ გრიგორი საველის-ძის ამხანაგებიც. თიხულებით შევამკეთ მამაჩემის საფლავი, მუხლი მოვიდრიკე და ფიცი დავდე...

ფიცი დავდე ჩემი და თქვენი სახელით.

— როგორ შეპფიცე, გვითხარი!

— თქვი, რა შეპფიცე?! სიხოვეს სამველს ამხანაგებმა.

— შევფიცე, რომ მკერდით დავიცავდი ჩვენს დიად საბჭოთა სამშობლოს. ვიქნებოდი მუდამ დაუნდობელი მტრის მიმართ!

სუფოროველები ფეხზე წამოდგნენ და რიგ-რიგობით ჩამოართვეს ხელი სამველს.



როდესაც ვეველამ თავისი ადგილი დაიკავა სამველმა განაგრძო:

— გრიგორი საველის-ძესთან ერთად გამოვემგზავრე და დავგვიანებით გამოცხადდი სასწავლებელში. პოლკოვნიკმა მკაცრად მიმიღო:

— სუფოროველო აღეკიან, შენ უდისციპლინო აღმოჩნდი. შეუწყნარებელია შენი დანაშაული!— მითხრა მან.

მე გაქვავებული ვიდექი და არ ვიკოდი რა მეთქვა. ამ დროს ოთახში გრიგორი საველის-ძე შემოვიდა. პოლკოვნიკმა შეხედა მას და განცვიფრდა:

— გრიგორი საველის-ძეე! კაპიტანო გლებოე!— წამოიძახა პოლკოვნიკმა და ადგილიდან წამოდგა.

— აღეჭანდრე თევედორეს-ძეე! პოლკოვნიკო!— იცნო გლებოემა, ხელებ-გაწედილი გაეშურა მისკენ და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

მე ოთახიდან გავედი და ცრემლებს ძლივს ვიკავებდი.

გამოირკვა, რომ პოლკოვნიკი იმ სამხედრო ნაწილის მეთაური ყოფილა, სადაც უმსახურიათ გრიგორი საველის-ძეს და მამაჩემს. ოდნავ დავწყნარდი და გავიფიქრე, რომ დანაშაულს მაპატიებდნენ. დარწმუნებული ვიყავი, რომ მიმიხვდებოდნენ და ასეც მოხდა.

გრიგორი საველის-ძე სტალინგრადში დაბრუნდა.

სამველ აღეკიანმა თავისი ამბავი დაამთავრა.

სწორედ ამ დროს დარბაზში შემოვიდა უფროსი მორიგე სუფოროველი და ხმამალლა გასცა განკარგულება:

— სმენა!...

სუფოროველები უცებ ფეხზე წამოდგნენ. დარბაზში შემოვიდა სასწავლებლის უფროსი გენერალი სკვორცოვი, პოლკოვნიკი აღეჭანდრე თევედორეს-ძე და დანარჩენი მასწავლებლები.

ლამაზ და დიდ დარბაზში დაიწყო კურს-დამთავრებულთა გამოსაშვები საზეიმო საღამო.

სომხურიდან თარგმანა

არტ. დავითიანმა



თინათინ კვიციანი **წავალთ, წავალთ ნამდვილად!** ნახატი რ. სტურუსი

აგარაკზე წასასვლელად
ჩვენი ბალიც ეშხადება,
დილას ადრე წამოდგომა,
პატარებს არ გვეზარება;

სადგურისკენ გავქანდებით
დატვირთული მანქანითა.
ჩვენი ტურფა დედოფლებით,
ჩვენი ბარგი-ბარხანითა.

წავალთ,
წავალთ ხვალ დილას,
უშუქველად,
ნამდვილად!

აღმზრდელებთან ერთად წავალთ
ჩვენი ბალის პატარები.
ამწვანებულ სოფლებსკენ
გავიქროლებთ მატარებლით.

წავალთ,
წავალთ, ხვალ დილას,
უშუქველად,
ნამდვილად!

ლამაზ ტყეებს ვინახულებთ,
სუფთა ჰაერს ჩავისუნთქავთ;
ყვავილოვან მინდორ-ველებზე
ვინავარდებთ თავისუფლად.

არასოდეს მოგვაკლდება,
ნამცხვრები და ნაზუქები,
წონაშიაც მოვიმატებთ,
დავმშვენდებით, გავსუქდებით.

წავალთ,
წავალთ, ხვალ დილას,
უშუქველად,
ნამდვილად!



ბრიგოლ რიპიანი

ნასატი ვლ. გორგაძისა

წვიმას დაასწრეს

მთელ ღამეს მუშაობდა ყანაში კომბაინი. საესე მთეარე დასცქეროდა მიწას და ისეთი ნათელი ღამე იღვა, რომ პიონერთა ბანაკიდან მანანა კომბაინსაც ხედავდა და მზიას ბრიგადასაც. ესმოდა სიმღერა, კომბაინის ფუხფუხი და საბარგო მანქანების საყვირის ხმა.

პიონერთა ბანაკში მარტო მანანას არ ეძინა. მისი საწოლი ფანჯარასთან იღვა და ლოგინზე წამოიჩქილი მანანა ველზე გაშლილ პურის ყანებს გადაჰყურებდა.

მანანა მზიას ბრიგადის ყოველ წევრს იცნობდა. პიონერები ხშირად ესტუმრებოდნენ კოლმეურნეებს. მზიას ბრიგადას ბელადისათვის პირობა ჰქონდა მიცემული, რომ თითოეულ ჰექტარ მიწაზე ორას ფუთ პურს მოიყვანდა.

მზიამ ხველ საღამოს უნდა მოათავოს მკა. ნეტავ მალე გაივლიდეს ეს ღამე. ხელინდელი დღე. ნეტავ მანანას შეეძლოს მოეხმაროს მზიას... და მანანამ წარმოიდგინა, როგორ მუშაობს მზიასთან ერთად: მართავს კომბაინს. მუშაობს უზარმაზარი მანქანა. არა, იგი ჭარბანას უფრო ჰგავს: მკის, ლეწავს და ახარისხებს ხორბალს. შემდეგ ჩხრიალით გადადის მანქანაში ოქროსფერი პურის მარცვლი.

ტომრებს აესებენ, წონიან:—ხუთი ფუთი, ათი ფუთი, ასი ფუთი, ორასი ფუთი... მიჰქრინ ხორბლით დატვირთული მანქანები ბელღებისაკენ!

ოცნებაში წასულ მანანას შეუმჩნევლად ჩაეძინა. დილით რომ გამოეღვიძა, კომბაინი არ მუშაობდა.—განა ასე ადრე მოათავა მზიამ მკა? — გაიფიქრა მანანამ და ფანჯრიდან გაიხედა.

კომბაინი შუა ყანაში იღვა, გარშემო ხალხი ეხვია. ვაი, თუ კომბაინი გაუფუჭდათ!

მანანამ სწრაფად ჩაიცივა, კიბე ჩაიბრინა და ფერღობზე დაეშვა. ცვარი ბრწყინავდა ბალახზე, გრილოდა.

აგერ მზია კომბაინთან ზის. ნამისაგან დასველებია კაბის ბოლო, ფეხები. ნუთუ არა სცივა? მანანა შედგა... მზიას თვალები ცრემლით ჰქონდა საესე.

—მზია! — ჩურჩულით თქვა მანანამ. და შედგა.

მზიას მისი ბრიგადის წევრი მიუხალოვდა. ისიც დასველებული და დაღლილი იყო.

— რაო, თინა, რა თქვა მექანიკოსმა? — მოუთმენლად ჰკითხა მზიამ თავის ბრიგადის წევრს და თვალებში მიაჩერდა.

— ორ დღეს არ ამუშავდებოა. ბაბუა თვედროე კი ამბობს: უსათუოდ გავვიძვდებოა!—უპასუხა თინამ.

მზიამ მოღრუბლულ ცას შეჰხედა და ნაღვლიანად თქვა:

— დაგვილპება წვიმაში ყანა...

მანანა გაოცებით შეჰყურებდა მზიას. მზია გმირად ჰყავდა წარმოდგენილი. ის კი ახლა ცრემლმორთული იყო.

სულ ახლოს ცხენის ფეხის ხმა გაისმა.

— თავმჯდომარე მოდის! — წამოიძახა თინამ და შეეგება. მზიაც წამოდგა.

თავმჯდომარემ ცხენი შეაჩერა, ჩამოხტა და ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა კოლმეურნეებს.

— გვიღალატა კომბაინმა?

— რა გვეშველება, გიორგი? — შესჩივლა მზიამ.

— უნდა ავილოთ პური, წვიმას დავასწროთ!

იმედი და სიმტკიცე ისმოდა თავმჯდომარის ხმაში.

— სხვა კომბაინი მოვა? — სიხარულით შესძახა თინამ.

— არა, სხვა კომბაინებს არ სცალიათ, ამიტომ ხელით უნდა ავილოთ პური.

— ეერ მოვასწრებთ! — უიმედოთ გაიჭინა თავი მზიამ.

— მზია! — გაისმა ამ დროს მანანას გაუბედავი ხმა. — ჩვენ... ჩვენ მოგვებმარებით.

— ეინ თქვენ? — მოღრუბუნდა გიორგი მანანას.

— პიონერთა ბანაკი. — მკვირცხლად მიუგო მანანამ.

— მკა რომ არ იცით? — უთხრა მზიამ.

— თქვენ მომკით, — მიმართა თავმჯდომარემ მზიას. — პიონერები კი ულოგებს დაგრებენ და მნას შეკრავენ, თავთავებს აკრეფენ, აბა, ვიჩქაროთ!

საედრო ღრუბლები სწრაფად მოეშურებოდნენ. ცა ბნელდებოდა.

მანანას და უფროსი პიონერხელმძღვანელის ირგვლივ მთელი ბანაკი შეგროვილი იყო:

— ყველა წამოვა!

— ახლავე წავიდეთ! — გაისმა შეძახი-

ლები, ჰოცა უფროსმა პიონერხელმძღვანელმა სიტყვა დაასრულა.

— წვიმას რომ აპირებს? — წამოიძახა თენგიზმა.

— ისინი წამოვლენ, ვისაც წვიმისა არ ეშინია! — თქვა უფროსმა პიონერხელმძღვანელმა და რაზმის ხელმძღვანელებს მიუბრუნდა: — ათ წუთში გავალთ. საუზმეს ყანაში მოგვიტანენ.

პიონერები ოომ მოვიდნენ, მზიას ბრიგადა გახურებულ მკაში იყო. ერთი ნაწილი ძნების შეგკრას შეუდგა. სხვები მონამკალზე დარჩენილ თავთავების ასაკრუვად გაიშალნენ. ყველაზე მეტად ძნების შეგკრა გაუქირდათ, მაგრამ სიძნელეს არ შეუშინდნენ.

მზია ბავშვებს თვითონ ასწავლიდა ძნების შეგკრას.

პიონერებმა ნამგალსაც მოჰკიდეს ხელი. მხარში ამოუდგნენ კოლმეურნეებს. შორს გაიშალა მომკელთა მწყრივი. მესვეურად თინა ჩაუდგა ბავშვებს.

გრილი, ნესტიანი ქარი ჩამოიჭრა მთებიდან. აშრაილდა და აღელდა ყანა.

— მთებში წვიმს! — წამოიძახა თინამ.

— ნუ გეშინია, არც ერთ თავთავს არ დაეტოვებთ აულბელს! — გაამხნევა თენგიზმა მესვეურს.

— „წვიმას რომ აპირებს?“ — ეშმაკური ლიმილით გაახსენა თენგიზს მანანამ.

— იწვიმოს, აღარ მეშინია წვიმისა მოვასწრებთ პურის აღებას. ამ დილით კი იმედი არ მქონდა. — დნჯად მიუგო თენგიზმა.

— მე კი მქონდა იმედი. ეიკოდი წვიმას დაეასწრებდით.

— ჰე, იცოდა. — ჩაიცინა თენგიზმა. — საიდან იცოდა?

— ეისთვის აქვს მზიას პირობა მიცემული?!

— ეიცი, ეისთვისაც აქვს, უპასუხა თენგიზმა. — ასეთი პირობა არ გატყდება...

მკა დამთავრდა. ქარმა მძლავრად მოჰბერა და მონამკალზე წვიმა აშხაპუნდა.

გამარჯვებული და გახარებული მიაბიჯებდა ბავშვებში მზია.

სამი ღექსი

მეც მასწავლებელი

მოქუცია, ვეღარ ვხედავ
 თუკან მისი ახალი,
 მე სკოლაში წამოყვანი,
 მეც მასწავლებელი ანა-ბისა.
 ათწელს ვიყავი კამბოჯელები,
 აქედან რა მესმის დღემდე,
 სხვა წლის კახელი, მეცნიერ
 ვარ ამაღის თვალს ან ვიცი,
 ხელს ამაღლი ვიჭებოდი,
 იმე ვიყავი, კამბოჯია,
 რას რომ არა მღვდლებოდა,
 ეს არ ვიცი რა მესმის.
 თუკან რა მესმის რომ ვარ ვიცი,
 ვეღარ ვხედავ დარცხვენისა,
 სიტყვანი დავს ვარ ვიცი,
 მისთვის მარცხენისა.
 ამიტომ მუცის მღვდელს ვიხედა,
 იქ რაღვთის მოხელისა,
 მეცნიერ ვიყავი, დავს ხე ვიხედა,
 მისი მღვდელსა!



სურათი ვარ ვიხედავ.



სურათი 2. ვარცხვენისა.

სამი ღექსი

ღვთის ბერი, იღონებ
 იღონებ ხაყ, იღონებ მღვთს,
 წყლის სიმღვდელს სიტყვებს
 მოვიყვანე წყლისა თუ.
 — მე მესმის კარგად ვიცი, —
 მღვდელურს ამაღის კვლად,
 აღნიშნავს არ აქვს,
 თუკან კარგად, ვახლო ვეღარ.
 — იქ მესმის რა მესმის, —
 არ ვუყვარს კარგად, —
 მესმის მოხმისა ეს მოხმისა,
 კარგად კარგად.
 — არც მესმის, არც კარგად, —
 მესმის რა მესმის,
 წინასწარ ვარ მოხმისა,
 ვერცხვენისა კარგად.


— ვეცხვენისა — ამისა მესმის, —
 მოვიყვანე მესმის,
 მღვდელს, თუკან მესმის
 ვარცხვენისა კარგად.
 ვეღარ თუკან კარგად,
 მოხმისა ვარ კარგად,
 ვარცხვენისა მესმის,
 ვარცხვენისა კარგად.
 ვარ კარგად სიტყვასა,
 თუკან მესმის კარგად,
 მესმის მღვდელს ვარ მესმის,
 მესმის კარგად კარგად.
 — მესმის ვარცხვენისა, —
 იღონებ ვეღარ...
 და მეც მესმის სიტყვასა
 მესმის მესმის მესმის.

ჩვენი აღვიძებ

ეს აღვიძებ რაღვთის მესმის
 მესმის რაღვთის მესმის,
 კარგად კარგად მესმის მესმის,
 თუკან მესმის მესმის.
 მე მესმის რაღვთის მესმის
 მესმის რაღვთის მესმის,
 მესმის რაღვთის მესმის,
 თუკან მესმის მესმის.
 მესმის რაღვთის მესმის
 მესმის რაღვთის მესმის,
 მესმის რაღვთის მესმის,
 თუკან მესმის მესმის.
 მესმის რაღვთის მესმის
 მესმის რაღვთის მესმის,
 მესმის რაღვთის მესმის,
 თუკან მესმის მესმის.



სურათი 3. ვარცხვენისა.



მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი

დიდი ხანია, რაც ადამიანები ჰქვნიან მანქანებს. ზღაპრებსაც მფრინავ ხალხებსა და საოცრებებზე იფანებდა ხალხი. ხალიჩა ხალიჩა და კედელზე ჰკიდია მხოლოდ. სამაგიეროდ საოცრებები ზღაპრის ნაცვლად ცხოვრებაში ხდება: ადამიანმა თვითმფრინავი, ორთქლმავალი, ავტომობილი და გემი გამოიგონა. ესენი მანქანებია, მანქანა კი ადამიანის თანაშემწეა.

საოცარი მოგონებაა ეს თვითმფრინავი: დილით თბილისში ისაუზმებ, სადილს მოსკოვში მიირთმევ, იქ ფეხბურთის

მატჩს დაესწრები, და ღამით ისევ თბილისში იფანშებ.

აი, კიდევ ავტომობილი! ერთ საათში ას კილომეტრზე მეტის გავლა შეუძლია, მაგდენს ფეხით მთელ კვირაში ვერ გაივლი; რომ გაიარო კიდევ, — დაიღლები. მანქანაში კი რბილ ბალიშებს მიყრდნობილი მიჰქრის.

თუ დაგცხება — ლილზე თითს დააქერ, შინა ძირს დაეშვება და სარკმელში ნიავი დაუბერავს. შეგცივდება — გადაატრიანლებ გამომრთველს. — ირგვლივ თოვლია, ზამთარია, — მანქანაში კი სახლივით თბილა. მოგუწყინა სიჩუმე — ჩართავ რადიოს, — მუსიკის ხმა გაისმის მანქანაში, ან ზღაპრის გიჟებმა დიქტორი... აი, როგორია ავტომობილი!

აი, კიდევ მანქანები: ორთქლმავალი, გემი, ელექტრომავალი... ორთქლმავალს შეუძლია უზარმაზარ ტრამალებზე გადაგაქროლოს და კლდეებს ქვეშ გვირაბებში გაგატაროს. იჯექი მშვიდათ, ისაიღლე, იკითხე წიგნი, ითამაშე ჭადრაკი. დაიძინებ თბილისში — და ქუთაისში გაგელვინდება.

რა თქმა უნდა, ხანდახან ორთქლმავალსაც სჭირდება ჭამა-სმა. სადმე სადგურში შეჩერდება, აიღებს საორთქლე ჭვამისა-



თვის საწვავ მასალას და წყალს, ცოტას შეისვენებს და გზას განაგრძობს.


მაგრამ ელექტრომავალს არც ნახშირი სჭირდება და არც წყალი, ის ელექტროენერჯით მუშაობს. ელექტროენერჯია ელსადგურიდან მავთულეებში გარბის და მოძრაობაში მოჰყავს ელექტრომავალი. ისევე, როგორც ტრამვაი, ან ტროლეიბუსი. ოღონდ ელექტრომავალი ორთქლმავალზე და ტრამვაიზე ძლიერი და ჩქარია; ელვის სისწრაფით მიჰქრის და მატარებლის გრძელ შემადგენლობას მიაჭროლებს. ეს ასეც არის საჰაერო, ჩვენი სამშობლო ხომ ვრცელია.

გემიც უზარმაზარი მანქანა არის.

ჩვენს ქვეყანას დიდი საზღვაო ფლოტი ჰყავს. გემები მრავალგვარია. აი, სამხედრო გემი მიცურავს ზღვაში: საზენიტო ქვემეხებს ცისკენ აუღვრიათ ლულები,— ქვემეხებთან წითელფლოტელები დგანან და ზღვას გასცქერიან, ვინმე ხომ არ გვიპირებს თავდასხმასო.

არსებობს გემი—საკონსერვო ქარხანა. წყალში ბადეები ჩაუშვია და მიცურავს ზღვაში საკონსერვო ქარხანა; ყოველდღე ტონობით თევზს იჭერენ, ნაწილს ამარილებენ, ნაწილს კიდევ ქვაბებში ხარშავენ და ლამაზ ყუთებში აკონსერვებენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ასეთი გემი ნავსადგურში ბრუნდება, გადმოიტვირთება და ისევ თევზის საჭერად გასწევს.

სამგზავრო გემი კი მთელი ქალაქია: აქ არის სასადილოები, სასპორტო და საცე-



კვაო მოედნები, სამკითხველო, კინოთეატრი და ვინ მოსთვლის, რამდენი რამ. გემს ათასობით მგზავრის და ასეულ ტონობით ტვირთის გადატანა შეუძლია ისეთ ადგილებში, სადაც ხშირად მატარებელი ვერ მიულდება. ამას წინათ გემებმა საქართველოდან უკრაინაში რამდენიმე ათასი ძირი ციტრუსოვანთა და ტყის ნერგი გადაზიდეს.

სხვა მანქანებზე შემდეგ ვისაუბრებთ. ჩვენს ქვეყანაში მრავალგვარი მანქანები არსებობენ. ისინი საბჭოთა ადამიანებმა გააყეთეს, რათა მშრომელებს შრომა შეუმსუბუქლეს. მანქანები გვაქვს ფაბრიკა-ქარხნებში, ელსადგურებში, კოლმეურნეობებში და სახლებშიც კი.



გოგი ბოსტანში

გოგის ჯგუფის ბავშვები მხოლოდ წლებულს მოვიდნენ საბავშვო ბაღში, სულ პატარები არიან. სამი-ოთხი წლის ბავშვები ყველა ჩვევებს ჯღა უცნობიან. აი, დღეს სიმინდი და ლობიო უნდა დათესონ და ბავშვებს მეტად უხარიათ.

— აბა, ბავშვებო, როგორც მე გიჩვენებთ, თქვენც ისე დათესეთ! — უთხრა აღმზრდელმა.

ბავშვები პაწია კვლებს შემოუსხდნენ. ჩხირებით ორმოები გააკეთეს და თესვის შეუდგნენ. გოგამაც თავისი ლობიო ჩათესა, მიწა მიაყარა და მასწავლებელს კითხვა:

— მასწავლებელო, მალე ამოვა? ყვავილებს როდის გამოისხამს?

— ერთი კვირის შემდეგ თავს ამოკოფს. როცა კარგად გაიზრდება ყვავილებს მაშინ გამოისხამს; მანამდის კი მორწყვა არ უნდა დავაკლოთ, რომ მიწა მუდამ სველი ჰქონდეს.

გოგამ არ იცის ერთი კვირა ზამდენ ხანს ნიშნავს. იმას ჰგონია, ერთი კვირა ერთი, ან ორი საათის შემდეგ დადგება და მისი ლობიოც მაშინ ამოვა.

როცა ბავშვებმა თესვის შემდეგ ისაუბრეს და ეზოში სუფთა ჰაერზე სავარჯიშოდ გავიდნენ, გოგამ ვერ მოითმინა და ბაღისაკენ გაიპარა, თავის დათესილ ორმოსთან დაიჩოქა და დაფინებით ჩაჭბუტბუტებდა:

— ამოდი, მალე ამოდი. მე და შენ ყველას ვაჯობოთ, ჩქარა ამოდი, მინდა, რომ დაგინახო, როგორ ამოხვალ! — ბუტბუტებს ბიჭი და თავის ორმოს თვალს არ აშორებს. უცქერის, უცქერის კვალს და

უცებ გაოცებით თვალებს აჰყურებს: მიწა იმ ადგილას თითქოს შეინძრა, ქინძისთავის ოდენა პაწია გორახი გადავორდა და მიწამ ოდნავ ამოიწია.

— უი, შენი ჭირიმე, ამოდის, ამოდის! — სიხარულით წამოიძახა ბავშვმა, ზეზე წამოეყარა და ამხანაგებისაკენ გაიქცა.

— არიქა, თენგიზ, ნოდარ, ჩქარა წამოდიოთ, რა გაჩვენოთ! — გოგამ ბავშვებს ხელი ჩაჰკიდა და ერთ წუთში ბაღში გაჩნდნენ.

— უყურეთ, ჩემი ლობიო ამოდის! ბავშვებმა თვალები ორმოს გაუსტერეს და იმთავც დაუმორწყეს:

— ჰო, ჰო, მიწა მართლა ინძრევა!

— ლობიო ამოდის, აგერ წვერი ამოკყო... თურმე როგორი ყოფილა! — ეციროდნენ გახარებული ბავშვები.

ბავშვებს მასწავლებელი ფეხდაფეხ მოჰყვა და უფრო დაუდგო.

ამ დროს, მიწიდან, ჰიაცელამ ჯერ ნემსის წვერით ამოკყო თავი, მერე ამომართა და მიწაზე დაიხლა, წა. ბავშვები შეკრთნენ და უკან დაიწვიეს.

— მეზიზღება, ეს ხომ ჭია ყოფილა... ნოდარ, ფეხი დაჰკარ, ჩქარა მოჰკალი! — წამოიძახა გოგამ და თვითონ შიშით უკან დაიხია.

— არა, ბავშვებო, არ მოჰკლათ, ეგ სასარგებლო ჭიაა! — მიმართა მასწავლებელმა, ბავშვებს მიუხალოვდა და ნოდარი შეაყენა. — აი, ეგ ჰიაცელა თქვენ რომ შეგეზიზღათ, იცით, როგორი სასარგებლო მცენარისათვის? — ბავშვები გაშტორდნენ და ჰიაცელას თვალს არ აშორებდნენ. — ჩვენ რომ ჰაერით ვსუნთქავით, — განაგრძო მასწავლებელმა, — მცენარეებისათვისაც საჭიროა ჰაერი. ჰაერი კი მიწაში თავისუფლად მაშინ ჩადის, როცა მიწა გაფხვიერებულია. ჰიაცელა მიწაში ცხოვრობს, მუდამ აქა-იქ დაძვრება, მიწას თხრის და აფხვიერებს. კბენა კი ჰიაცელებმა სრულიად არ იციან. უვენებლები არიან და თქვენ არ უნდა შეგეზინდით!





თამარ საჯანი

ნახატი გრ. ჩიჩინაშვილისა

დეიდა მაროს მეგობრები

თეთრწინსაფრიალი გოგონები და ბიჭუნები მხიარულად შედიოდნენ საბავშვო ბაღის ეზოში. აღმზრდელი ქალი აღერსიანად ესალმებოდა თითოეულ მათგანს და თავის გარშემო იკრებდა.

— ჩემო კარგო პატარებო, — უთხრა მან ბავშვებს, — ცოტახანს ეზოში უნდა შეეჩერდეთ, ჩვენი დამლაგებელი დეიდა მარო ავად გამხდარა და ოთახების დასუფთავება შეგვიანდა, სანამ მტვერი გაიწმინდებოდეს დილის ვარჯიში ჩავატაროთ, შემდეგ ჩვენი ბოსტანი დავათვალიეროთ... — მზია, მაშ დღეს ვინ დაგვირეცხავს თიფშებს? ვინ აალაგებს სუფრას? — ჰკითხა ნახულიმ მეგობარს.

— ან შენ ვინ დაგბანს ხელოპირს სადილობის შემდეგ, მაგაშიაც ხომ დეიდა მარო გეხმარება, — გააჯავრა მზიამ ამხანაგი.

— ეგ წინათ იყო, ახლა უკვე მარტო ვაკეთებ ყველაფერს, დედასაც კი ვეხმარები. გუშინ ჩემი ცხვირსახოციც გავრეცხე. პატარა ხომ აღარა ვარ, სულ მალე სკოლაში მიმიღებენ.

ამ დროს მათ უფროსების საუბარს მოჰკრეს ყური: დეიდა თამარი ერთ-ერთ აღმზრდელს ესაუბრებოდა:

— მაროს ხომ სახლში არავინ ჰყავს, უნდა მივებმაროთ.

— მაშ საქმელს ვინ გაუკეთებს, წამალს ვინ მიუტანს? — ჰკითხა ამ ამბით დაღონებულმა ნახულიმ მზიას.

— მეც სწორედ მაგას ვფიქრობ, მოდი თამარ მასწავლებელს ვთხოვოთ, ჩვენ წაგვიყვანოს მასთან და ყველაფერი გაუკეთოთ.

ნახული და მზია თამარ მასწავლებელს მიუახლოვდნენ:

— მასწავლებელო, წაგვიყვანეთ დეიდა მაროსთან, ჩვენ გადავწყვიტეთ მისი მოვლა.

თამარ მასწავლებელს სიამოვნების ღიმილი გადაეფინა სახეზე და პატარებს მოეხვია:

— ყოჩაღ, ჩემო პატარებო, ეგ ძალიან კარგი აზრი მოგსვლიათ, მაგრამ მაგას უთქვენოდაც გადაკეთებთ, აი, ბაღის გამგე მიდის მასთან და ის მოაგვარებს ყველაფერს.

— ჩვენც, ჩვენც წაგვიყვანეთ, — არ ასვენებდნენ პატარები; განსაკუთრებით კი მზია და ნანული.

დღედა თამარი ბალის გამგის ოთახში შევიდა და ბავშვების გადაწყვეტილება გადასცა. გამგემ კი ტელეფონის მილი აიღო, მზიას დელას სამსახურში დაურეკა: ჩვენს დამლაგებელს ფეხი დაუშავდა, გადამდები არაფერია, თუ ნებას დაგვრთავთ მის სანახავად მზიასაც წაიყვანთ.

მზიას დედა დათანხმდა.

გახარებულმა მზიამ მაგრად ჩაჰკიდა ხელი საბავშვო ბალის გამგეს და გაჰყვა.

ბალის გამგემ მზია დედა მაროსთან დატოვა და თვითონ ექიმის გამოსაწერათ წაიდა.

პატარა მზია დატრიალდა. ცოცხი მოძებნა, ოთახი გამოგავა, დოქით წყალი შემოიტანა, ავადმყოფს რძე დაალევინა და ექიმის მოსვლამდე საბავშვო ბაღში ნასწავლ ზღაპრებსა და ლექსებს უყვებოდა.

დააკაუნეს. მზია სწრაფად ჩამოხტა სკამიდან და კარი გააღო.

ოთახში სათვალევითაიხი ექიმი შემოვიდა, პატარა დიასახლისის მივსალმა და ავადმყოფისაკენ გაემართა.

— კარგი შვილიშვილი გყოლიათ, ბებიასთან დარჩენილა.

— არა, მე შვილიშვილი არა ვარ! — გამოეპასუხა მზია ექიმს, — დედა მარო ჩვენთან მუშაობს საბავშვო ბაღში. მე ვიცი, რომ მას არავინ ჰყავდა სახლში და ამიტომ წამოვედი, იცით, ექიმო, ძალიან კარგად მოვუარე, ოფლი მოვადენინე. სულ ზღაპრებით და ლექსებით ვართობდი. უფლებას არ ვაძლევდი ლოგინიდან ხელები ამოვლო, მეც ასე შექცევა ხოლმე დედა, როცა ავად ვარ.

ექიმმა გულიანად გადაიხარხარა, მზია ხელში აიყვანა და შუბლზე აკოცა.

— ჰო! შენ ძალიან ჰკვიანი გოგონა ყოფილხარ! ავადმყოფის მოვლა კარგად გცოდნია.

ამ დროს კიბეებიდან მოისმა პატარების ფეხის ბაკუნი. მზია კარგებისაკენ გაიქცა. ოთახში მისი პატარა მეგობრები შემოვიდნენ. ნანულის დიდი თაიგული ექირა. ბავშვებს მასწავლებელი თამარი მოჰყვებოდა.

მზიამ ექიმს მასწავლებელი და თავისი ამხანაგები გააცნო.

— მალე მორჩება დედა მარო? როდის აღგება? — ზედღიზედ ეკითხებოდნენ ექიმს პატარები.

მზიამ დედა მაროს შეხედა. დედა მარო ლოგინზე წამოწეულიყო, თვალეში სიხარულის ცრემლები უბრწყინავდა.

— ხომ ხედავთ, ექიმო, შვილიშვილი არა მყავს, ჩემი ერთადერთი გოგონა ფრონტზე დაშეღუპა, მაგრამ ჩემს სახლში მაინც ისმის პატარების ყვირილ-ხივილი. მე ამ პატარებს ვემსახურები და განა უფლება მაქვს დიდხანს ვიწვე ლოგინში?!

— მართალია, მართალი! — შენიშნა ექიმმა, — ვისაც ასეთი კეთილი და ჰკვიანი პატარა მეგობრები ჰყავს, ის ყოველთვის მალე დასძლევს ავადმყოფობას.

ბავშვები დედა მაროს გარს შემოუხსდნენ და ჭრიამულით უყვებოდნენ საბავშვო ბალის ამბებს.

„დარაჯი“ კატა

— ოთარ, შეილო, მე კოლექტივის საწყობში წავად, ხორბალია სარკვევი, შენ ამ საფაფე ხორბალს მოუდექი, დიდლა გენაცვალოს, ჩიტებმა და ქათმებმა არ აკენკან, — უთხრა დიდევამ ოთარს, ეზოში, საფენებზე გაშლილი ხორბალია ჩააბარა და წავიდა.

გაბრაზებულმა ბიჭმა წყებლა გამწარებით მოიქნია.

მახლობელ ეზოდან მოისმოდა ბიჭების ეივლიხვილი და შეძახილები. აღარ იცოდა რა ექნა ოთარს; ან რა გასამტყუნარი იყო ბიჭი, განა მისი სრცხელიც არ იქნებოდა ჭვემოუნებლებს ეჯობათ მისი უზნებლებისათვის?!



ოთარმა ოთახიდან წიგნი გამოიტანა, გრძელი წყებლა გვერდზე მოიმარჯვა და მეტადინეობას შეუდგა.

ქათმები მოსვენებას არ აძლევდნენ ბიჭს, მედიდურმა მამლაყინწამაც კი იკადრა ხორბალთან ქურდულად მიპარვა. ხეებზე ბელურები ეივთებდნენ, თითქოს სეირის საყურებლად მოსულანო.

— აქმა, აქმა, თქვე ტურის შესაქმელებო! — დიდელასავით ჯავრობდა ოთარი და წკებლას იქნევდა.

— ბიჭოს, ეს რა გახურებულ ომშია ჩვენი ოთარი! — მოესმა ოთარს დათოს ხმა. ღობის იქით ოთარის ტოლი რამოდენიმე ბიჭი შეგროვილიყო...

— ოთარ, ჩვენებიანთ კალოზე ლახტს ვთამაშობთ, გადმოლდი, ერთი კარგად ავახუროთ ჭვემოუნებლები!

„სულ ამ ქათმების ბრაღია, უნდა კუტივით ვიჯდე!“ გაიფიქრა ოთარმა, და

არა, რადაც უნდა დაუჯდეს მიეშველება ამხანაგებს!... ოთარი წმობტა, ქათმები საქათმეში შერეკა, ინდარები ეზოს იქით გადარეკა, წიგნი სახლში აარბენინა, კარები გამოკეტა, და ის იყო უნდა გაენავარდნა, რომ აივნიდან თვალი მოჰკრა; ხორბალს ბელურები შესეოდნენ და არხენიან კენკავდნენ...

ეზოს იქით კი ყოიინის ხმები იწვევდა ბიჭს ლახტით საბრძოლველად.

— აქმა, აქმა. — დაჰყვიროდა ოთარი ივნიდან, მაგრამ ჩიტები არაფრად ავღებდნენ ოთარის გაბრაზებას.

— აბა, მანდ დამიდექით! — თქვა გაგულისებულმა ბიჭმა, კიბეები მარდად ჩაირბინა და...

— ბრრ! — თითქოს ერთი დიდი ფრინველი აფრინდაო, ისე ხმა შეწყობილად გაშალეს ფრთები ანეზარმა ბელურებმა და ხეებზე მოიკალათეს.

— არა, რა ვეჟაკის საქმა ხორბ-

ლის დარაჯობა! — ფიქრობდა გულდაწყვეტილი ოთარი.

ამ დროს თვალი მოჰკრა მესობლის სახლის ივანზე ნებიერად გაწოლილ ხატაუფას და რალაც აზრმა გაუღელვა;

— დილილმე, ეს რა კარგი რამ მოვიგონეო! — წამოხტა, სახლის კიბეები მარდად აირბინა და ოთახიდან თავისი დის ნანას სათამაშო კატა გამოიტანა.

ოთარმა კატა ხორბალთან დასვა. ერთი თათი ზევით აუწვია, მეორე კი ქვევით, თითქოს მალლა ცას ემუქრება და დაბლა კი დედამიწას, არავინ გაბედოს ხორბალთან მიკარებაო!

კატა ხანს იდგა ოთარი, უცქეროდა ბელურებს, რომლებმაც ხეებზე შეშფოთებული თივილი ატეხეს და გაზარებულმა სირბილით გასწია ამხანაგებისაკენ..

არა, ძალიან უცნაური კატა კი სდარაჯობდა ხორბალს: აეწვირა თათი ზევით და იღვა გაშეშებული. არ განძრფეულა, არც დაწოლილა, მზისთვისაც კი არ შეუშერია ზურგი გასათბობად, — ჰკვირობდნენ ბელურები. ახლოს მისვლას კი ეყრავინ ბედვდა, — კატის ეშმაკობისა ეშინოდათ.

უხუცესმა ბელურებმა გამოცდილებით

კარგად იცოდნენ, რომ კატა ჩიტების დანახვებზე თავს მოიკატუნებს ხოლმე, ვითომ მძინავსო, ამას კი ასე თავხედურად აუწევია თათები!

შეადლე გადავიდა.

ერთმა ახალგაზრდა ბელურამ ისე ახლოს ჩაუქროლა კატას, რომ ბელურებს გული გადაუტრიალდათ, მაგრამ ყოჩაღი ჩიტი უფნებლად დაუბრუნდათ. კატა მაინც არ ინძრეოდა.

აი, წამოვიდა მეორე ბელურა, ზურგიდან წამოუარა კატას და ფრთა ისე მაგრად გაჰკრა, რომ კატა პირქვე ჩაეცა ხორბალში... შეშინებული ბელურები ხეებიდან წამოიშალნენ... როცა თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ, გმირი ჩიტი კატა-თოჯინაზე იჯდა და გამარჯვებულის ელურტულით მოუხმობდა ამხანაგებს ხორბლის საკენკავად.

ბინდებოდა, როცა ბიჭების გამარჯვების სიმღერა მოეცო ორლობეს..

ოთარმა მარად შეირბინა ეზოში, მას მხოლოდ ახლა მოაგონდა საფაფე ხორბალი... დიდდა ვიწვიშით ჰკრეფდა საფენიდან ხორბლის ნარჩენს. თავჩაქინდრული ბიჭი ერთ ადგილას შედგა. ცრემლები თავისთავად წამოვიდნენ თვალებიდან.

მებალები

თინამ ვარდი დარგო,
მე — ზატარა ვაშლი!
ვარდი აუკვადება,
ვაშლიც კვავილს ვაშლის.
თინას ვარდი მოსწონს,
მე კი ვაშლი მიყვარს!
ბადმი სამუშაოდ
თინა მუდამ მიმეხვს.
ნარკავებს ჩვენ ვუვლით,
და ჩვენს კანახარად,
ვარდმაც კანახარა,
ვაშლმაც კანახარა!

ილია სინარულიძე



ნახატი ი. სუხიშვილისა

მ ო ც ე ნ ი



საქართველოში ფართოდ გავრცელებული ბუჩქი ვარ, ჩემზე მალღებები არიან: ასკილი, ზღმარტლი; შინდი, თხილი და ნეკერჩხალი.

მაგრამ ჩემს გარშემო არიან ისეთები, რომლებზედაც მალალი ვიზრდები,—მოცხარი, ყოლო, მაყვალი, მარწყვი, და სურნელოვანი ყვავილები მე შემომნატრიან სიმაღლეში.

ხშირად მატკობს მგალობელ ფრინველთა ჭრიაშული, სტვენა-გალობა, გარეულ ცხოველთა თამაში.

ამტანი ვარ ჩრდილისა, მალალ, ცივ მთებშიაც ვხარობ.

ლიამწვანე ფერის, მბრწყინავი მოკლევუნწა ფოთლები მასხია.

ხშირად მოდიან ტყეში მხიარული ბიჭუნები და გოგონები კალათებით—სოკოების, ტყის ხილისა და ყვავილების დასაყრეფად; მოკლენ, სიმღერითა და კისკისით გაგვახარებენ. ჩვენც, ტყის ღვიძლი შვილები გემრიელი ნაყოფით ვუმასპინძლებით.

გაზაფხულზე მოვირთვები მომწვანომოვარდისფერო, ზარის მავჯარი ყვავილებით. ფუტყრები უმალე დამეხვევიან და ჩემი ყვავილებისაგან მოწითალო ფერის და სასიამოვნო გემოს თაფლს ამზადებენ.

ჩემი მწიფე ნაყოფი ადამიანისათვის სასარგებლო ხილია, მისგან აკეთებენ აგრეთვე მურაბას. ტბილ წვეწს და ღვინოს.

გამომშრალი და შენახული მოცვის ნაყოფი ბავშვებისა და მოზრდილთათვის უებაი წამალია; ვკურნავ ნაწლავების დაავადებას. ყელის ტკივლს, კანის ავადმყოფობას.

ჩემს ნაყოფს და ნაყოფის გამონახარშს, რომელიც სასიამოვნო და გემრიელი სასმელია, კარგა ხანია იყენებენ მედიკინაში.

ჩემი ნაყოფი შეიცავს ადამიანისათვის სასარგებლო ნივთიერებას. ნაყოფში „ა“ და „ც“ ვიტამინები მაქვს. „ვიტა“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სიცოცხლეს. აქედან ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა მაქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

ჩემი ნაყოფიდან ამზადებენ წითელ და იისფერ საღებავებს, რომელსაც მატყლის და ქაღალდის მრეწველობაში იყენებენ.

ნაყოფში ძლიერ წვრილი თესლი მიზის, ასე, რომ ერთ გრამ გამომშრალ მოცვიში ათასზე მეტ თესლს დაითვლით.

გალაკიონ მინდაქ

ამოცანა

თინამ კავით მოიხონდა ბღის პატარა კუნწლა; მოტუნა და სიხარულით სახლში წააქუნწულა.

სამი ბაღი დაუვარდა კიბის საფეხურებზე. თითო წყვილი ცუგრუმეღამ დაიკიდა ყურებზე.

ათი გივის მოუწყვიტა, შტოზე დარჩა რვა ცალი; მამ, კუნწლას სურ რამდენი ესხა ბაღის მარცვლი?

ღ. ქაძაშიძე



ნახატი გ. რაინიშვილის

9/98

საბავშვო
გაზეთი



ნახატი ან. კანდელაკისა

ბავშვებო, ამ ნახატების მიხედვით შეადგინეთ მოთხრობა!

უღებ: „მეისობა“. — ნახატი რიხერტ ხტურახის

Д И Л А — еженесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 5 Май 1950 г. Тбилиси. Ленина 14.

გამომცემლობა „კომუნისტა“. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14 III სართ.

გამომცემლობის შევ. № 45 სტამბის შევ. 1188/608 ტირაჟი 7000 უფ 02514 ფასი 6 ჰან.

ტექსტი აწუობილია ლ. პ. ზერაის სახელობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში! ყურნალი დაბეჭდილია ოვსტის სისტემის მანქანაზე. „ზარია ვოსტოკას“ სტამბაში. თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 42